სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

98468202281120

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200859123

რეგისტრაციის თარიღი

22.10.2020 წ

ნოტარიუსი: ლია ირემაძე
მისამართი: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზირი №23ა, კომერციული ფართი №45, ბლოკი „გ", II სართული.
ტელეფონი: 599167349

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცი წლის ოცდაორ ოქტომბერს მე, ნოტარიუს ლია ირემაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №23ა, კომერციული ფართი №45, ბლოკი „გ", II სართული, მომმართა შპს „კანტი"-ს დირექტორმა ბატონმა მიხეილ ალიხეგაშვილმა, რომელსაც განაცხადა, რომ სურს საზოგადოების სახელით მარინა გრიგოლიას მიანიჭოს გარკვეული უფლებამოსილება და ამისათვის მოითხოვა სათანადო აქტის (მინდობილობის) შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მიხეილ ალიხეგაშვილმა (დაბ. 31.10.1975წელს თბილისში, პირადი №01019005647, რეგისტრირებული: თბილისი, დეკას ქუჩა, N19) მომმართა.

მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს „კანტი" /საიდენტიფიკაციო კოდი: №400280030 /, რაც დასტურდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომ'ხადების თარიღი: B20000450, 08/01/2020 11:26:50.

მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მჭონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე, ნოტარიუსმა ლია ირემაძემ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა წაუკითხე მარწმუნებელს და განვუმარტე მისი შინაარსი. მან პირადად წაიკითხა მინდობილობა და დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

ორი ათას ოცი წლის ოცდაორ ოქტომბერს მიხეილ ალიხეგაშვილმა, როგორც შპს „კანტი"-ს /საიდენტიფიკაციო კოდი: №400280030 / დირექტორმა, რომელიც შემდეგში წოდებულია, როგორც „მარწმუნებელი", წინამდებარე მინდობილობით მარინა გრიგოლიას (დაბ. 23.08.1978წელს, პირადი №01026001251), რომელიც შემდეგში წოდებულია, როგორც „რწმუნებული", საზოგადოების სახელით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. რწმუნებული უფლებამოსილია აწარმოოს შპს „კანტი"-ს /საიდენტიფიკაციო კოდი: №400280030 / სახელზე რიცხულ ნებისმიერ უძრავ ნივთზე საპროექტო და სამშენებლო საქმეები. ამ მიზნით იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, იუსტიციის სახლში, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, მერიაში და მისდამი დაქვემდებარებულ ნებისმიერ სამსახურში, წააბაროს და მოიპოვოს ყველა საჭირო საბუთი მარწმუნებლის სახელით, გააჩეთოს მარწმუნებლის სახელით ნებისმიერი სახის განცხადებები, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, შეათანხმოს და მიიღოს მშენებლობის პროექტი და მშენებლობის ნებართვა, გადაიხადოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები, მოაწეროს ხელი მარწმუნებლის მაგიერ ნებისმიერ საჭირო დოკუმენტებს და შეასრულოს ის ფორმალური მოქმედებები, რაც დაკავშირებულია ამ დავალებასთან.

2. ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარძალისმქონე ეგზემპლიარად, რომლის ერთი ეგზემპლიარი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მხარეს.

3. მინდობილობა გაცემულია 2 /ორი/ წლის ვადით და ძალაშია 2022 /ორი ათას ოცდაორ/ წლის 22 ოქტომბრის ჩათვლით.

გადახდილია 12,00 (თორმეტი) ლარი - აქედან: სანოტარო საზღაური 10,00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მოხმსახურების ვადების" შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 31-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი _____

ნოტარიუსი /ლია ირემაძე/